



საგადასახადო სიახლოები
ოქტომბერი-ნოემბერი, 2023



საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიღება მიზნად ისახავს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, ცვლილება იქნა შეტანილი პენსიის განმარტებაში და განისაზღვრა, რომ საპენსიო ასაკისა და შესაძლებლობის შეზღუდვის საფუძველზე მონაწილეზე გაიცემა პენსია. იმის გათვალისწინებით, რომ პენსია არ ექვემდებარება დაბეგრას, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ³“ ქვეპუნქტი საჭიროებს დაზუსტებას, სადაც აისახა, რომ საშემოსავლო გადასახადის დაბეგრისაგან გათავისუფლებულია ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანები, მასზე დარიცხული სარგებელი და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე და 33-ე მუხლების შესაბამისად დანიშნული/გაცემული პენსია. ზემოაღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით კი, რადგან განისაზღვრა საპენსიო შენატანების, მასზე დარიცხული სარგებლის და პენსიის საშემოსავლო გადასახადიდან გათავისუფლების საკითხი, ამასთან, მემკვიდრეობით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებით საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს შესაბამის მარეგულირებელ ნორმებს, გათვალისწინებული იქნა შესაბამისი ცვლილებები აღნიშნულ კოდექსში. ასევე ვინაიდან, „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის თანახმად, აღნიშნული თანხები არ წარმოადგენს პენსიას, ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადით დაბეგრასთან მიმართებით საგადასახადო აგენტს, ამასთან, პრაქტიკაში საპენსიო სააგენტო უზრუნველყოფს გადახდის წყაროსთან გადასახადის დაბეგრას, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი მოიცავს ცვლილებას 154-ე მუხლში. კერძოდ, 154-ე მუხლის პირველ ნაწილში დაემატა „რ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც სსიპ საპენსიო სააგენტო განისაზღვრება საგადასახადო აგენტად „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძველზე პირისათვის საპენსიო აქტივების გაცემისა და დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასვლის საფუძველზე საპენსიო აქტივების შესაბამისი ოდენობის თანხის დაბრუნების ნაწილში.

1. 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ³“ ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

„ბ³) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანი, მასზე დარიცხული სარგებელი და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე–34-ე მუხლების შესაბამისად გასაცემი პენსია/საპენსიო აქტივები, გარდა:

ბ³.ა) საპენსიო შენატანის შეცდომით ან ზედმეტად განხორციელების შემთხვევაში დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილისთვის/ფიზიკური პირისთვის დასაბრუნებელი, შეცდომით ან ზედმეტად განხორციელებული საპენსიო შენატანის ოდენობის შესაბამისი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლისა;

ბ³.ბ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემიდან გასული დასაქმებულისთვის დასაბრუნებელი საპენსიო შენატანის ოდენობის შესაბამისი თანხისა და მასზე დარიცხული სარგებლისა;

ბ³.გ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 34¹ მუხლის შესაბამისად დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილის მიერ საქართველოს სამუდამოდ დატოვების საფუძვლით მისთვის დასაბრუნებელი საპენსიო აქტივების შესაბამისი თანხისა.

შენიშვნა: ამ ნაწილის „ბ³.ა“, „ბ³.ბ“ და „ბ³.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაბამისი თანხა იბეგრება ამ კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული განაკვეთით;“.

- 2.** 101-ე მუხლის (ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები) მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხელფასის სახით მიღებულ შემოსავალში არ შედის:

„**დ)** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დამსაქმებლის მიერ თავისი ხარჯით დასაქმებულის სასარგებლოდ, აგრეთვე სახელმწიფოს მიერ დასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანები;“.

- 3.** 103-ე მუხლის (შემოსავლები, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან) პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

შემოსავლებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული დაქირავებით მუშაობასთან და ეკონომიკურ საქმიანობასთან, განეკუთვნება ნებისმიერი შემოსავალი ან სარგებელი, გარდა:

„**დ)** „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ თვითდასაქმებულის სასარგებლოდ მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე განხორციელებული საპენსიო შენატანებისა;“.

- 4.** 154-ე მუხლის (გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავების წესი) პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

გადახდის წყაროსთან გადასახადის დაკავება ევალება საგადასახადო აგენტს, რომელიც არის იურიდიული პირი, საწარმო/ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკური პირი, კერძოდ:

„**რ)** საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო – „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დასაქმებულისთვის/ფიზიკური პირისთვის მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული საპენსიო აქტივების გადაცემის/გადახდის შემთხვევაში.“.

კანონი ამოქმედდა 2023 წლის ნოემბერში.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტით განისაზღვრა, რომ საპენსიო სააგენტო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის არ წარმოადგენს კრედიტორს და „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაწილის საკუთრებაში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით კრედიტორული მოთხოვნის წარმოდგენის უფლებამოსილ პირად განისაზღვრა შესაბამისი მონაწილე ან მონაწილის მემკვიდრე/მემკვიდრეები. ამასთან, რეაბილიტაციის მმართველის ან/და გაკოტრების მმართველის მიმართვის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო ვალდებულია აღნიშნულ პირს მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია შესაბამისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით, ასევე „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შემოსავლების სამსახურისაგან მიღებულ მონაცემებთან შედარების შედეგად მიღებული ინფორმაცია. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის მიღება მიზნად ისახავს საქართველოს კანონის „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონპროექტით გათვალისწინებულ ცვლილებასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

კანონის ძირითადი არსი:

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტით დადგინდა, რომ საპენსიო სააგენტო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის არ წარმოადგენს კრედიტორს, ხოლო დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაწილის საკუთრებაში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით კრედიტორად განისაზღვრა შესაბამისი მონაწილე ან მონაწილის მემკვიდრე/მემკვიდრეები.

ვინაიდან, საპენსიო სააგენტოსათვის შეუძლებელია დადგინდეს იქნეს კრედიტორული მოთხოვნები, სულ მცირე შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ა) საპენსიო შენატანის ოდენობა გამოთვლილ უნდა იქნეს დასაქმებულის ხელფასიდან, საპენსიო სააგენტოსათვის კი უცნობია დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის გადახდილი/გადასახდელი ხელფასის (კანონის განმარტების გათვალისწინებით) ოდენობა, შესაბამისად, უცნობია დამსაქმებლის დასაქმებულის მიმართ შრომითი ურთიერთობიდან არსებულ/წარმოშობილი ვალდებულებები, ხელფასთან მიმართებით; ბ) საპენსიო სააგენტოსათვის უცნობია, დამსაქმებლის დასაქმებულთა შესახებ ინფორმაცია, მათ შორის და არა მხოლოდ, დასაქმებულთა მოქალაქეობრივი სტატუსი, ასაკი, რაც დაკავშირებულია დაგროვებითი საპენსიო სქემაში სავალდებულო გაწევრიანების საკითხთან, ასევე თუ რამდენად მიმართა დასაქმებულმა დამსაქმებელს, კანონიდან გამომდინარე დაგროვებითი საპენსიო სქემაში ნებაყოფლობით გაწევრიანების თაობაზე და ა.შ.; გ) დამსაქმებლის მიერ კანონით გათვალისწინებული ვალდებულების სათანადოდ შესრულება, კერძოდ საპენსიო შენატანის განხორციელება, კანონიდან გამომდინარე მიზნად ისახავს დასაქმებულის ერთგვარი აქტივის შექმნას, საპენსიო აქტივის სახით და შესაბამისად, მასზე დასაქმებულის საკუთრების უფლებას წარმოშობს. მაშასადამე, ისევე როგორც ხელფასი, აღნიშნულ ვალდებულების (საპენსიო შენატანის განხორციელების) შესრულების მოთხოვნა უპირველესად დასაქმებულის უფლებაა და მის კრედიტორულ მოთხოვნას წარმოადგენს დამსაქმებლის მიმართ.

განხორციელებული ცვლილება:

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 86-ე მუხლს (ლიკვიდაციის პროცესში კრედიტორთა დაცვა) დაემატა შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საპენსიო სააგენტო (შემდგომ – საპენსიო სააგენტო) ამ კანონის მიზნებისთვის არ არის კრედიტორი. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მონაწილის საკუთრებაში არსებულ საპენსიო აქტივებთან მიმართებით კრედიტორი/კრედიტორები არის/არიან შესაბამისი მონაწილე ან მონაწილის მემკვიდრე/მემკვიდრეები. ამ კანონის შესაბამისად ლიკვიდატორის მიმართვის შემთხვევაში საპენსიო სააგენტო ვალდებულია

აღნიშნულ პირს მიაწოდოს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია შესაბამისი დამსაქმებლის მიერ განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირისგან – შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ მონაცემებთან შედარების შედეგად მიღებული ინფორმაცია „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

კანონი ამოქმედდა 2023 წლის ნოემბერში.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

ცვლილებები ფინანსთა მინისტრის ბრძანება N996-ში

ინფორმაცია საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირზე განხორციელებული განაცემების შესახებ, რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან ბრძანება №382

მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გამოქვეყნდა ცვლილება საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. კერძოდ დანართ NII-06-ს („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახდის დეკლარაცია“) დაემატა დანართი „ე“ (ინფორმაცია საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირზე განხორციელებული განაცემების შესახებ, რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან).

დეკლარაციის დანართი „ე“

ინფორმაცია

საანგარიშო თვეში ფიზიკურ პირზე განხორციელებული განაცემების შესახებ, რომელიც უკავშირდება მომსახურების ანაზღაურებას და არ იბეგრება გადახდის წყაროსთან

განაცემის მიმღების საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი	განაცემის მიმღების სახელი და გვარი	მისამართი	პირის რეზიდენტობა (ქვეყანა)	მომსახურების სახე	განაცემის ოდენობა (თანხა)
1	2	3	4	5	6
სულ:					

ცვლილების მიხედვით დეკლარაციის დანართ „ე“-ში პირი ვალდებულია ასახოს ფიზიკური პირისგან მიღებული მომსახურებისთვის ფულადი ფორმით განხორციელებული ანაზღაურება (რომელიც არ ექვემდებარება დაბეგრვას გადახდის წყაროსთან), მისი ფაქტობრივად გაცემის საანგარიშო თვის მიხედვით, სვეტების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

ა) პირველ–მე-4 სვეტებში აისახება განაცემების მიმღები პირის საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელი, გვარი, მისამართი და რეზიდენტობა;

ბ) მე-5 სვეტში მიეთითება მომსახურების სახე (განაცემის მიმღების მიერ გაწეული მომსახურების შინაარსი);

გ) მე-6 სვეტში მიეთითება განაცემის ოდენობა (თანხა), რომლითაც ანაზღაურდა მომსახურება.“

ცვლილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №402

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 112-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) 56-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 56¹-56² პუნქტები:

56¹. იმ შემთხვევაში, თუ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებულ საქონელთან მიმართებაში შემოსავლების სამსახურის მიერ ვერ იქნა მოძიებული 2023 წლის 6 მაისიდან 18 მაისამდე პერიოდში სავაჭრო ქსელში არსებული ფასები, ამ მუხლის 56-ე პუნქტის მიზნებისათვის, გამოიყენება მხოლოდ მწარმოებლის/იმპორტიორის მიერ ამ მუხლის 55-ე პუნქტის შესაბამისად საგადასახადო ორგანოსთვის წარდგენილი საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებული საქონლის (სიგარილები (წვრილი სიგარები), თამბაქოს შემცველობით) სარეკომენდაციო საცალო სარეალიზაციო ფასი.

56². ამ მუხლის 56¹ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2402 10 000 02 კოდში მითითებული საქონლის სავაჭრო ქსელში საცალო რეალიზაციის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 თვის განმავლობაში საგადასახადო ორგანო ვალდებულია დამოუკიდებლად, შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის საფუძველზე, განსაზღვროს საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასი და, თუ ამ საქონელზე დადგენილ საცალო სარეალიზაციო ფასსა და მის მიერ განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობა 6%-ზე მეტია, წარუდგინოს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრს, აღნიშნულ საქონელზე ახალი საცალო სარეალიზაციო ფასის დადგენის მიზნით.

ეს ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის ნოემბრიდან და მისი მოქმედება გავრცელდება 2023 წლის 21 აპრილიდან წარმომობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №412

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 33-ე მუხლის (საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსება) მე-7 პუნქტის „ა.ბ“

ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „მაგალითი 1.“:

(7. დეკლარაციის დანართი „ბ“-ს უჯრებში მონაცემები აისახება უჯრების დასახელებების (შინაარსის) შესაბამისად, ამასთან:

ა) მე-2 სვეტში – აისახება მიღებული შემოსავლის სახე:

ა.ბ) არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში აქტივის რეალიზაციით მიღებული ნამეტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად ექვემდებარება 20%-იანი განაკვეთით დაბეგრას ან/და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად იბეგრება 5%-იანი განაკვეთით;)

მაგალითი 1

ფაქტობრივი გარემოებები:

ფიზიკურმა პირმა 2020 წლის 21 აპრილს განახორციელა საკუთრებაში არსებული ბინის რეალიზაცია, რომელთან დაკავშირებითაც, გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე. რეალიზაციის მომენტისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა მშენებარე ობიექტს და არ იყო მიღებული ექსპლუატაციაში, თუმცა შემდენს ფაქტობრივად გადაეცა ბინის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო ყველა უფლება, რომელიც მას ანიჭებდა ფაქტობრივი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობას.

ანალიზი:

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირის მიერ რეალიზებული ბინა რეალიზაციის მომენტისათვის წარმოადგენს მშენებარე ობიექტს და შესაბამისი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი არ არის მიღებული ექსპლუატაციაში, ითვლება, რომ ადგილი აქვს ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი ბინის რეალიზაციას, ვინაიდან მასთან დაკავშირებით გაცემულია მშენებლობის ნებართვა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე და ბინის რეალიზაციის მომენტისათვის, შემდენს ფაქტობრივად გადაეცა ბინის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის საჭირო ყველა უფლება, რომელიც მას ანიჭებდა ფაქტობრივი ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის შესაძლებლობას.

შესაბამისად, ფიზიკური პირის მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ექვემდებარება 5%-იანი განაკვეთით დაბეგრას.

შედეგი:

გადასახადის გადამხდელის მიერ ბინის რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავალი ექვემდებარება დეკლარაციის დანართი „ბ“-ს მე-2 სვეტში ასახვას.“.

2. 111² მუხლის (საცხოვრებელი ფართობის გამქირავებელ პირთა რეესტრის წარმოების და საცხოვრებელი ფართობის იურიდიულ პირებზე გამქირავებელი პირების მიერ საგადასახადო შეღავათით სარგებლობის წესი) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საცხოვრებელი ფართობის (მათ შორის, მშენებარე ბინის (სახლის)) (შემდგომში – საცხოვრებელი ფართობი) ორგანიზაციაზე, იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, იბეგრება 5 პროცენტით.“.

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის ნოემბერში.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №413**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლის (ელექტრონული საჩივარი) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. პირს (გარდა არარეზიდენტი ფიზიკური პირისა) ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპების შესახებ მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.“.

წინა რედაქციის მიხედვით ეს ნაწილი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად:

3. პირს ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვის ეტაპებისა და განხილვის შედეგების შესახებ მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რაც არ ათავისუფლებს დავის განმხილველ ორგანოს ვალდებულებებისგან, მომჩივანს წერილობით შეატყობინოს საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

2. 15¹ მუხლის (საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების ელექტრონული ფორმით გაგზავნის და საჯაროდ გავრცელების წესი):

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების – შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – დავების განხილვის საბჭო) გადაწყვეტილება შეიძლება მომჩივანს გაეგზავნოს ელექტრონული ფორმით (გარდა ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა) ან გავრცელდეს საჯაროდ.“;

წინა რედაქციის მიხედვით ეს ნაწილი ჩამოყალიბებული იყო შემდეგნაირად:

1. საგადასახადო/საბაჟო დავის განმხილველი ორგანოების – შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს (შემდგომში – დავების განხილვის საბჭო) გადაწყვეტილება შეიძლება მომჩივანს გაეგზავნოს ელექტრონული ფორმით ან გავრცელდეს საჯაროდ.

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. იმ შემთხვევაში, თუ მომჩივანი არარეზიდენტი ფიზიკური პირია და არ არის შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებგვერდის (www.rs.ge) ავტორიზებული მომხმარებელი, მის მიმართ მიღებული, ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილება ექვემდებარება საჯაროდ გავრცელებას შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.rs.ge) განთავსებით.“.

ბრძანება ამოქმედდება 2023 წლის 6 დეკემბრიდან.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №414**

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 22¹ მუხლის (სავარაუდო დარიცხვა) მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. სავარაუდო დარიცხვა შეიძლება გაუქმდეს შესწორებითი დარიცხვით:

„გ) ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში:

(1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საგადასახადო შემოწმების გარეშე განახორციელოს სავარაუდო დარიცხვა თავის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ:

ბ) პირს წარმოეშვა საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება და კანონმდებლობით დადგენილ ვადაში არ წარადგინა საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება (ავტომატური დეკლარირება).)

გ.ა) პირის მიერ საგადასახადო დეკლარაციის/გაანგარიშების წარდგენის გზით. ამ შემთხვევაში, პირის მიერ წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია/გაანგარიშება დაგვიანებულად წარდგენილად ჩაითვლება;

გ.ბ) საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილებით.“.

წინა რედაქციის მიხედვით, ეს ნაწილი არ ითვალისწინებდა „გ.ბ“ ქვეპუნქტს, რამაც გამოიწვია ჩანაწერში ცვლილების განხორციელება.

ბრძანება ამოქმედდა 2023 წლის 21 ნოემბრიდან.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №415**

06.11.2023 წელს ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში, რომლითაც განიმარტა ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კუთვნილი საშემოსავლო გადასახადი.

კერძოდ ახალი რედაქციის მიხედვით, გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაციის 57¹ და 57² უჯრებში აისახება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკურ ბიუჯეტებში გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მოიცავს ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე ფაქტობრივად დასაქმებულ პირზე განაცემის მიხედვით საშემოსავლო გადასახადს. ასევე, შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე პირის სტრუქტურული ქვედანაყოფის (ფილიალი, საამქრო და ა.შ.) არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულ უჯრებში შეიტანება ამ ქვედანაყოფში ფაქტობრივად, მათ შორის, სუზონურად დასაქმებულ პირზე განაცემის მიხედვით საშემოსავლო გადასახადი“.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №446**

2023 წლის 28 ნოემბრის №446 ბრძანებით ცვლილება შევიდა „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში. კერძოდ დაკორექტირდა 48¹ მუხლი „მუხლი 48¹. ანაზღაურების გადახდა საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე“. აღნიშნული მუხლით რეგულირდება დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის დრო, როცა ანაზღაურება მიღებულია საქონლის/მომსახურების მიწოდებამდე. ცვლილების განხორციელებამდე საქონლის/მომსახურების მიწოდებამდე მიღებული ავანსი დაბეგრვას ექვემდებარებოდა მხოლოდ თანხის მიღებისას, ცვლილების შედეგად ავანსი დაბეგრვას ექვემდებარება გარდა თანხისა, სხვა სახით (მათ შორის ბარტერული ოპერაციის შედეგად) ანაზღაურების შემთხვევაშიც.

1. 48¹ მუხლის პირველი - მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

1. თუ ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ გადახდილია საქონლის მიწოდებამდე/მომსახურების გაწევამდე, მიღებული ანაზღაურების შესაბამისი დღგ-ის გადახდა ხორციელდება ანაზღაურების გადახდის საანგარიშო პერიოდის მიხედვით.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისათვის, პირის მიერ გადახდილი ანაზღაურება ჩაითვლება დასაბეგრ თანხად და ოპერაცია დაექვემდებარება დღგ-ით დაბეგრვას, თუ ანაზღაურების მიღების მომენტში სახეზეა ყველა შემდეგი პირობა:
 - ა) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/ გასაწევი მომსახურება;
 - ბ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/ გასაწევი მომსახურების რაოდენობა/ მოცულობა;
 - გ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონლის/ გასაწევი მომსახურების ღირებულება;
 - დ) განსაზღვრულია მისაწოდებელი საქონელი/ გასაწევი მომსახურება წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ თუ გათავისუფლებულ ოპერაციას.
3. იმ შემთხვევაში, თუ სახეზე არ არის ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი პირობები, მაგრამ მხარეთა შეთანხმებით საქონლის მიწოდებამდე/ მომსახურების გაწევამდე განხორციელდა ანაზღაურების გადახდა და ანაზღაურების მიღების საანგარიშო პერიოდზე გამოწერილია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, დღგ-ით დაბეგრვის დრო არის ანაზღაურების მიღების მომენტი.
4. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ დასაბეგრ პირს უფლება აქვს, საქონლის მიწოდებამდე/ მომსახურების გაწევამდე ანაზღაურების გადახდისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაითვალოს მისაწოდებელი საქონლის/ გასაწევი მომსახურების შეძენისთვის გადახდილი დღგ.“.

2. 48¹ მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი ვრცელდება გაცვლის (ბარტერულ) ოპერაციებზეც როგორც ფულადი, ასევე საქონლის/ მომსახურების სახით ანაზღაურების გადახდის ნაწილში.“.

ბრძანება მე-3 და მე-4 პუნქტების გარდა ძალაში შედის 29 ნოემბერს. ხოლო მე-3 და მე-4 პუნქტები ამოქმედდება 2024 წლის პირველი იანვრიდან და მათი მოქმედება არ გავრცელდება 2024 წლის პირველ იანვრამდე დადებულ ხელშეკრულებებზე.

ცვლილების სანახავად იხილეთ [ბმული](#).

პუბლიკაციაში წარმოდგენილი საკითხები არის მხოლოდ ინფორმაციული ხასიათის და გამიზნულია ზოგადი მიმოხილვისათვის. არ არის რეკომენდებული აღნიშნულ პუბლიკაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება ჩვენს წარმომადგენელთან კონსულტაციის გარეშე!

ჩვენი საგადასახადო სპეციალისტები მუდამ მზად არიან განგიმარტონ და მოგაწოდონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ მოცემულ ცვლილებებზე!

გელა მდებრიშვილი

მმართველი პარტნიორი

TEL: +995 595 333 853

E-Mail: gela.mghebrishvili@nexia.ge

დავით მამრიკიშვილი

მმართველი პარტნიორი / საგადასახადო მიმართულების დირექტორი

TEL: +995 591 505 009

E-Mail: david.mamrikishvili@nexia.ge